**რედაქცია:** სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

**ხელის-მოწერა** მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა:** დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი — 5 კაპ., პატარათი — 4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ოთხი თვის ხელის-მოწერა

## „დროებაზე“

მიიღება რედაქციაში — ბალის (სოლოლაკის) ქუჩაზე გ. შადინოვის სახლებში, № 33

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

**ფასი** ოთხი თვის გაზეთისა, ე. ი. 1 სექტემბრიდამ წლის დამლევამდინ, გაგზავნით — **სამი** მანეთი.

## განცხადება

**ოთხშაბათს, 17 ღვინობისთვეს**

ქართული ტრუპპისაგან წარმოდგენილი იქნება თფილისის საზაფხულო თეატრში:

I

## ქმრები გავაბით მახეში

კომედია ორს მოქმედებად მეიფარისნისა.

II

## ცოლის შერთვევინება

კომედია ერთს მოქმედებად მოლიერისა

III.

## მოტია

მოდევილი ერთს მოქმედებად, რუსულიდამ ნათარგმნი.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში და აზნაურთის მაღაზიაში, გოლოვინის პროსპექტზე.

დაიწყობა 7½ საათზე.

(2—1)

**ქართული თეატრის ამხანაგობა** ამით აცხადებს, რომ იგი ნიშნავს ჯილდოს ორიგინალურ დრამატიულ თხზულებათა დამწერთათვის — 15 თუმნამდის, და სხვა ენებიდამ გადმოკეთებული პიესებისათვის — შვიდ თუმნამდის.

ამ გვარი თხზულებები უნდა წარუდგინონ დასაფასებლათ ამხანაგობის შემდეგი ადრესით: თბილისს, გიორგი თუმანიშვილს, ბარიათინსკის ქუჩაზე, № 8.

(3—1)

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**ცეტინიე, 12 ოქტომბერს.** გუშინ ალბანელები დაეცნენ ჩერნოგორიელებს და ამათშუა გაცხარებული შეტაკება მოხდა და სისხლის-ღვრა. ალბანიის მაზრაში — არნაუთლუკში ხალხი იარაღდება და სერბიისა და ჩერნოგორიის საწინააღმდეგოთ ემზადება.

**ვენა, 12 ოქტომბერს.** „ქელნის გაზეთში“ დაბეჭდილია, რომ როცა ვენაში მოლაპარაკება ჰქონდა თ. ბისმარკს, იმ დროს ორი პროტოკოლი (პირობა) იყო შედგენილი, რომელზედ გერმანიისა და ავსტრიის იმპერატორებმა მოაწერეს ხელი. გერმანიის იმპერატორს ჯერ არ უნდოდა ამ პირობაზე ხელი მოეწერა, მაგრამ თ. ბისმარკმა გამოაცხადა, რომ თუ იმპერატორი არ მოაწერს ხელს, ამ შემთხვევაში მე იძულებული ვიქნები სამსახურს თავი დავანებოვო, და მაშინ კი ვილგელმი დათანხმდა.

**ბუხარესტი, 12 ოქტომბერს.** რუმინიის სენატმა მიიღო დეპუტატებისაგან დამტკიცებული მეშვიდე მუხლი კონსტიტუციისა, რომელიც ებრაელების უფლებას შეეხება.

**სოფია, 12 ოქტომბერს.** ბოლგარიის დეპუტატთა პალატის ხელ-ახალი კენჭის ყრა თითქმის ყველგან მმართებლობის სასარგებლოდ გათავდა. ახალ-არჩეული დეპუტატების მომეტებული ნაწილი გლეხები არიან. პალატა 15 ოქტომბერს გაიხსნება.

**სიმლა 12 ოქტომბერს.** 12,000 ყირგიზ კიფჩაკები ყაშვარს მიუახლოვდნენ. ამათ წინააღმდეგ ჩინეთის მთავრობამ გამოგზავნა დიდ ძალი ჯარი, რომელსაც იარჯელ ჰქონდა მტერთან შეტაკება; მაგრამ გამარჯვება არც ერთ მხარეს არ დარჩა, ჩინელების მხრით მრავალი დაიხოცა. ჩინეთის ჯარები თურქმენების წინააღმდეგ არიან გაგზავნი იანშგისარიარში.

**სიმლა, 12 ოქტომბერს.** ინგლისის ჯარი შორდება შატარგარდათ, სადაც მოგროვდა დიდძალი ჯარი გილზაებისა; ამბობენ, რომ ესენი წინ არ უშვებენ ინგლისელებს. თვითონ ავღანის სატახტო ქალაქს კაბულში ამ ჟამად მშვიდობიანობა არის, მაგრამ კურმსა და კაბულს შუა ინგლისელების მტერი ხალხი გროვდება.

**პეტერბურღის ბირჟა, 12 ოქტომბერს**

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემის — | 94 — | „ |
| მეორე — — — — | 93 — | „ |
| მესამესი — — — | „ — | „ |
| მეოთხესი — — — | 92 — | 75 |
| აღმოსავლეთის პირ. — | 90 — | 75 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 90 — | 75 |
| აღმოსავლეთის, მესამე — | „ — | „ |
| ოქრო, ½ იმპერიალი — | 7 — | 73 |
| გირაოს ფურცელი — | „ — | „ |

შინაგანი 5% სესხის ბილეთები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 227 — | 50 |
| მეორე სესხის — — | 222 — | 50 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — — | 25 — | 50 | პენსი |
| ჰამბურღი — — | 216 — | 25 | ცენტი |
| პარიჟი — — — | 268 — | 75 | სანტიმი |
| ვენა — — — | 218 — | „ | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი — — — | | | |

## საქართველო

**ტფილისი**

*** ამას წინათ ჩვენს გაზეთში იყო გამოცხადებული, რომ თფილისში სდგე-

ბა საზოგადოება იმ განზრახვით, რომ საცა შეიძლება და რამდენიც შეიძლება მოაგროვონ და დაიცვან ქართული ძველი ხელთ-ნაწერი წიგნები და აგრეთვე არხეოლოგიურ მნიშვნელობის მქონე ნივთები, და ერთის სიტყვით გამართონ ქართული ბიბლიოთეკა—მუზეუმი,

ეს საქმე როგორც შევიტყეთ, უკისრნია, და ამის სისრულეში მოყვანას ცდილობს უფ. დ. ზ. ბაქრაძე, რომელსაც მომავალი მუზეუმისათვის პროგრამმაც შეუდგენია და იმედი აქვსო, რომ ის არხეოლოგიური კრება, რომელიც 1881 წელს იქნება Tფილისში, ხელს მოუწყობს იმას ამ შემთხვევაში.

*** გუშინ, ორშაბათს, ღამის 11 საათზე გაჩნდა ცეცხლი ხიდზე, მირზოევის შენობაში, რამაზიანცის მაღაზიაში, ვართანოვის წიგნის მაღაზიის გვერდით.

რადგან ცეცხლის საქრობი მაშინა დროზე მოვიდა, ამის გამო ცეცხლი მალე გააქრეს; დაიწვა მხოლოთ ეს რამაზიანცის მაღაზია და ერთიც იმის გვერდით მეჭურჭლის დუქანი.

ეს მეოთხედ არის, რაც ამ მირზოევის მაღაზიებს ცეცხლი ეკიდება; ხან მარჯვენა წყობას გაუჩნდება და ხან მეორეს, რიგ-რიგად...

*** ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდათ, შემდეგი შენიშვნა ქართულის თეატრის ამხანაგობისაგან:

„ქართული თეატრის ამხანაგობა მადლობას უცხადებს: Tამარ სოლომონის ასულს ქართველოვისას, ნინო სოლომონის ასულს მამულოვისას და თ. ვასილ ზიორვის ძეს მაჩაბელს ქართული სცენის სასარგებლოდ ტანისამოსის შემოწირვისთვის.“

*** გორიდამ გვწერენ, რომ იქაურ ქალაქის რჩევას (დუმას) ამ თვის 10-ის სხდომაზედ გამგეობის წინადადებით, გარდაუწყვეტია, რომ ცეცხლის საქრობი მაშინების მოსაპოებლად ქალაქის გამგეობას (უპრავას) მიეცეს 1,500 მანეთი ქალაქის ხაზინიდამ. ჩვენს კორრესპონდენტს, რასაკვირველია, მოსწონს ეს გარდაწყვეტილება რჩევისა, თუმცა ამბობს, რომ მარტო მაშინები არ კმარაო, საჭიროა ცხენები ამ მაშინებისათვისაო, კამანდაო და სხვ.

კარგი იქნება ამას გარდა, რომ ჩვენი გამგეობა ცოტაოდენ ყურადღებას მიაქცევდეს გორის ქუჩებსაცაო; მომეტებული ნაწილი ჩვენი ქუჩები ისეთები არიანო, რომ, როცა პატარა წვიმა მოვა, კაცი ვერ გაივლის, მუხლამდინ ტალახი დგებაო...

*** კახეთიდამ გახშირებული ქურდობისა და ცარცვის ამბავი ისმის; სხვათა შორის Iვრის ხეობიდამ გვწერენ, რომ სოფელს უჯარმას თათრები დასცემიან და სამასამდინ ცხვარი წაუსხამთ; სოფ. საგარეჯოშიაც რამდენიმე გლეხი დაუწიოკებიათ. ამბობენ, რომ ეს ქურდები მუღანლოს თათრები არიანო, 15 ცხენოსანი და დაიარაღებული [illegible] და-რება და ამგვარ საქმეს ჩადიანო.

## „დროების“ კორრესპონდენცია

გორი, 10 ოქტომბერს. ამ დღეებში გორის კრუჟოკის სტარშინები აპირებენ წევრების მოწვევას ასარჩევლად მომავალის 1880 წლისათვის სტარშინებისა და ხაზინადრისას.

რაც ჩვენ გორში კრუჟოკი დაწესდა, თითქმის იმ დღიდგან დღევანდლამდინ. სტარშინებათ არჩევენ წევრები მოხუცებულთ პირთა, შთამამავლობით პატივცემულთა; და მართებლობისაგან საკმაოდ დაჯილდოებულთა. ეს ძალიან კარგი გახლავს, რომ ამისთანა პატივცემულნი გვამნი ვვეყოლება სტარშინებათ, მაგრამ მეორე მხრითაც რომ ვსთქვათ, მარტო ის არა კმარა დიდი გვარიშვილი და დიდი თანამდებობის მქონე ავარჩიოთ და კი არა გაგვიკეთონ-რა; ჩვენთვის, რასაკვირველია, საკვეხურია, რომ პატარა ქალაქში წარჩინებული პირები გვყანდეს სტარშინებათ, მაგრამ ისიც საჭიროა არის იზრუნონ კლუბზედ, ყველა ანგარიშებს ყურადღება მიაქციონ, ამოირჩიონ იმისთანა ხაზინადარი, რომელსაც გაუკეთონ დავთარი, რამდენი კალოდიც რომელმა მოთამაშემ გასჭრას, თავის ხელით ჩაიწეროს; აბა მაშინ გაიგებთ—

# ფელეტონი

## ისტორიული მასალები

(გაგრძელება*)

1800 წ. 11-ს მარტს რუსის მოციქული მოუვიდა ზაბით-ფაშას; მანამდის ატრიალა თავისზედ საჩივრები თავის გამართლებითა ყოველს ადგილას. 12 თიბათვეს პატრებიანთ ეკკლესიის კარი დაუბეჭდიათ, დიაკვნები დაუტყვევებიათ და 1,200 ყურუშის გარდახდევინების შემდგომ გაუთავისუფლებიათ. რომ აღარ გაუვიდა სიტყვა ზაბით-ფაშას კარის ფაშებთან, რომელნიც ჟვკაცების მონაწილე იყვნენ, ადგა ენკენისთვის 28-ს და გაიქცა. მეორე დღეს შარიფ-ფაშა ნაფაშავებელი სხვილისს მოვიდა; მისი ძმა მუსალი-მამად დაჯდა ახალციხეს. მისი კაცები და ხანუმი ციხეში ავიდნენ. 4-ს ღვინობისთვეს შარიფ-ფაშამ ზაბით-ფაშაზედ გაილაშქრა.

Tურმე უსინიდისო ფაშის უმცროსმა ძმამ, მუსალიმმა, ინება ფაშის ხანუმის გაუპატიურება. როცა ხანუმმა უარის თქმით მოიცილა თავითგან, შურის მეძიებლობით ფაშას, ძმას, მაბეზღრობის წიგნი მისწერა, შენი ცოლი ხანუმი ფალევან-ალას ბაკაკოთრას ეკურკურება და შენ ასრე გკიცხამსო. ეს დედა-კაცი ორბელიანების მოდგმისა ყოფილა, შვენებით განთქმული და ხშირი შავის და გრძელის თმითა. ფაჰლევან - ალაც რომ ქრისტიანის მოდგმისა ყოფილა ბაკაკოთგან და პატიოსანი კაცი, იმის მეტი კარის კაცს არ გაიცდიდა თურმე თვალითა. ფაშა ამ შეურაცხყოფის წერილს მიიღებს თუ არა, მაშინვე მოიწერება, ჩემს მოსვლამდის ხანუმი თავისი მოახლეებით მოაშთეთ და ბაკაკოშვილი ფალევან ალაც მოკალითო. ამ ამბავს რომ გაიგებს მეგობრებისაგან ფალევან ალა, ეცდება თავისთან ერთად ფაშის ხანუმის გაცლასა სხვილისისაკენ, თავის მისანდო პირებში. დილაზედ ბაირამი ჰქონიათ, მამლის ყივილისა უცნობებია ფაშის ხანუმისათვის და მასთან ხლებული მოახლეებით მიჰყავნებია სხვილისისაკენ. ეს გაუგიათ, დასწევიან მდევარნი სხვილისის ხიდის მიღმა, ხანუმი სხვილისს გაუყვანიათ მოახლეებით, ხელსახოცით მოუშთვიათ და ფალავან-ალა ტყვიით მოუკლიათ იქავე და თავი მოუჭრიათ. მაშინ უთქვიათ ეს ლექსი:

შარიფ-ფაშამ რომ საქმე ჰქმნა, სტამბოლს ხვანთქარი გაჰკვირდა:
ძმამ ძმას ჰღალატა, აცდინა, საშინლად ატყდა, ახირდა.
გაჯავრდა, მოჰკლა ხანუმი, ბოლოს თვითანვე ატირდა,
ფალევან-ალა მიაკლა და მოახლებიც დაჰკიდა!
შევიდნენ მყრალი ლაზები, ჯალათად დაადგნენ თავსა,
ხელ-მანდილი გარდააგდეს, სახე ლამაზს, გიშრის თმასა.
მაშინ ატირდა ხანუმი, ცრემლი გარდმოსდინდა თვალსა:
„—ვაი შენ ჩემო ქალობავ, გაფუჭდი ამ ქვეყანასა!
„Iჯედ და სვემდი ყავასა, სრულ არ გახვიდოდი კარსა;
„არც ვის თავს გაუყადრემდი, არცა შეხედემდი სხვასა,
„დღე-ღამ გულს სისხლი გდიოდა, ვერც დებს ხედემდი, ვერც ძმასა!..“
ეს სიტყვები მაშინ მოსთქვა, ტკბილის სულის ამოსვლასა;
„წამიღეთ, ა იქ დამმარხეთ, სხვილისის კლდის კაპნის გზასა,
„ბამვლელნი და გამომვლელნი მაყრიდნენ ვაგლახს და ვასა!..“
დაჯდა და წიგნად დასწერა, მტერთაც დასწვემდა, გძელია;
უაფლანიანთ გაუგზავნა, წასაკითხავად ძნელია,
„მე ხელმანდილით დამახჩეს, ხომ არ გამომჭრეს ყელია!“

(გაგრძელება)

*) „დროება“, № 213.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ რა შემოსავალი ექნება ჩვენ კრუჟოკს. წალოცვილები აირჩევენ ელიას თუ მუსიას ხაზინადრათ, თორმეტ თვეში ასის ალაგას რომ ოცი დასწეროს შემოსავალი, კი არა გაეგებათ რა.

დაქოქილს დანაყილი არა სჯობს. ეს სტარშინები ძალიან კარგები გახლავთ, როგორც ზემოთა ვთქვით, შთამამავლობით თუ დაჯილდოებულნი, მაგრამ ჩვენი კრუჟოკის სარგებლობა კი არ შეუძლიანთ და ვერც შეიძლებენ ამისათვის რომ განცხრომით ცხოვრებას დაჩვეული თავისი საკუთარი რომ ხუთასი თუმანი დაკარგოს, ერთმა მაწანწალა ვინმემ წაართვას იმას არ გამოუდგებიან და ესენი ჩვენი მანეთებისათვის რას იზრუნვენ მაშ საჭიროა წრეულობით ამ პირებს ორი ვაჭართაგანი აურჩიონ სტარშინებათ რომელთაც შეეძლოთ ანგარიშების გაშინჯვა! დარწმუნდით, როგორც აქამდის გაკვრა-გაგლეჯა იყო და ვინც ხაზინადარათ იყო, ჯიბები გაიტენეს, ამაზედ მეტი უარესობა იქნება.

ბორელი

---

## გ. ჩარკვიანის

ქართული წიგნის მაღაზიაში, ქაშვეთის ეკლესიის შენობაში, № 1 და **იყიდება** შემდეგი ახალი **ქართული წიგნები**:

**თვალ-საჩინო სწავლა** ახლად შესრულის ყმაწვილებისათვის სახალხო შკოლებში. შედგენილი მიხ. ჭიჭინაძისაგან—ფასი 40 კაპ.

**ბანჯგვლიანი ფუტკარი**—თხ. ავენარიუსისა ნათარ. ალ. აბაზიძესაგან—ფასი 15 კაპ.

**გლახის ნამბობი** მოთხრობა ილია ჭავჭავაძისა. გამ. არ. სათაროვისაგან ფასი 25 კ.

**რამდენიმე სურათი** **ყაჩაღის ცხოვრებიდამ** პოემა ილია ჭავჭავაძისა გადმობეჭ. ჟურნ. „ივერიიდგან“ ფასი 10 კაპ.

**ცოლი თუ გინდა ესარის**, ვოდევილი ვასილ აბაშიძისა ფასი 10 კ. და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.

Въ Тифлисъ. Книжный магазинъ Григорія Чарквіани въ зданіи Кашветской церкви, № 1 и 2.

---

## თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

**ქალაქის გამგეობა** უცხადებს ტრაქტირებისა, ხარშოვნიკებისა და პასტაიალი დვორების პატრონებ., რომ, თანახმად ტრაქტირების წესდების § 17 მუხლისა, ისინი ვალდებულნი არიან ამ ოქტომბრის (ღვინობისთვის) განმავლობაში შემოიტანონ ქალაქის გამგეობაში ხვედრი ფული და მიიღონ ვაჭრობის უფლებისათვის ჯეროვანი მოწმობა 1880 წლისათვის. ვინც ამ მოთხოვნილებას არ აასრულებს, იმათ ტრაქტირებსა, ხარშოვნიკებსა და პასტაიალი დვორებს უპრავა უეჭველად მომავალი 1880 წლის 1 იანვარს დაკეტავს.

# განცხადებანი

# თფილისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

**თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა** აცხადებს, რომ ქვემო-მოყვანილი პირთა დაგირავებული უძრავი მამულები დანიშნულ არიან გასაყიდველად, რადგან ამ პირთა ბანკის წესდების მე-15 მუხლის თანახმად არ შემოიტანეს ბანკში ამ თავიანთ დაგირავებულ მამულების ხვედრი შემოსატანი ფული (სარგებელი და თავნის წილი). მამულების გასყიდვა შეჩერდება მხოლოთ იმ შემთხვევაში, თუ პატრონები გარდასახად ფულს დროზე შემოიტანენ:

| მეპატრონეთა სახელი და გვარი. | რა მამულია. | სად არის მამული. |
| --- | --- | --- |
| **მაღალაშვილი**, ლუარსაბ ალექსანდრეს ძე | ერთ-ეტაჟიანი ქვის სახლი, თან მიწა $327^{1}/_{2}$ ოთხ-კუთხი საჟენი. | თფილისში, II განყოფილების მე-11 უჩასტკაში. |
| **საფრონოვი**, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე. | ერთ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, ადგილი 146 ოთხ-კუთხი საჟენი. | თფილისში, მე-II განყოფილების 16 უჩასტკაში. |
| **ხანდამოვი**, მირიან ფრიდონის ძე. | ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, ადგილი $54^{85}/_{100}$ ოთხ-კუთხი საჟენი. | თფილისში, II უჩასტკაში I განყოფილებისა. |
| **ტერ-მიკირტიჩიანც**, ქრისტეფორე ნიკიტის ძე. | სამ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, თან ადგილი $634^{1}/_{2}$ ოთხ-კუთხი საჟენი. | თფილისში, მე-II განყოფილების მე-XII უჩასტკაში. |
| **არეშოვი**; ნიკოლოზ სიმონის ძე. | ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, თან ადგილი 26 ოთხ-კუთ. საჟ. და 6 არშინი. | თფილისში, I განყოფილების მე-V უჩასტკაში. |
| **ბურდულოვი**, ალექსანდრე სოლომონის ძე. | ორი დუქანი, მიწა 600 ოთხ-კუთ. საჟენი. | თფილისში, მე-II განყოფ. მე-II უჩასტკაში. |
| **ერისთვისა**, ივლიტე დიმიტ. ასული. | ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, მიწა 500 ოთხ-კუთ. საჟენი. | ქ. გორში, მთავარს ქუჩაზე. |
| **სულხანოვისა**, მარიამ ივანეს ასული. | ა) ერთ-ეტაჟიანი ქვითკირის დუქანი, ბ) ორი სამ-ეტაჟიანი ქვითკირის დუქანი, ორი ორ-ეტაჟიანი ქვითკირის დუქანი და გ) თერთმეტი ერთ-ეტაჟიანი ქვითკირის დუქანი, თან ადგილი 276 ოთხ-კუთ. საჟ. | ქ. თფილისში: ა) I განყოფილების მე-VII უჩასტკაში, და ბ) მე-II განყოფილების მე-14 უჩასტკაში, ჩუღურეთში. |
| **სლინკოსა**, ანნა ივანეს ასული. | ორი ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, ადგილი $111^{1}/_{2}$ ოთხ-კუთხ. საჟენი. | თფილისში, მე-II განყოფილების მე-XI უჩასტკაში, ელისაბეტის ქუჩაზე. |
| **ჭრელაშვილი**, პროტოიერეი გრიგოლი დავითის ძე. | ერთ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, ბაღი და ადგილი 4 დესიატინა. | თფილისში, II განყოფილების მე-16 უჩასტკაში, ნავთლუღში. |
| **მირუმოვი**, ოლანეზ სარქისის ძე. | ორი ერთ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი და ერთი ორ-ეტაჟიანი სახლი, ადგილი $241^{1}/_{2}$ ოთხ-კუთ. საჟ. | თფილისში, II განყოფ. მე-14 უჩასტკაში, ჰავლაბარში. |
| **კოროლენკო**, სოფიო კოსტანტინეს ასული. | ერთ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი დუქნიანად, ადგილი $27^{3}/_{10}$ ოთხ-კუთხი საჟენი. | თფილისში, I განყოფილების პირველ უჩასტკაში, დავიდოვის ქუჩაზე. |
| **პავლიევი**, იაკობ სიმონის ძე. | ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, ადგილი 72 ოთხ-კუთ. საჟ. | თფილისში, I განყოფ. მე-5 უჩასტკაში. |
| **ამატუნი**, თ. ნაპოლეონ ივანეს ძე. | ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი თავის შენობებით და ადგილით 257,97 ოთხ-კუთხი საჟენი. | თფილისში, I განყოფ. მე-4 უჩასტკაში, ველიამინოვის ქუჩაზე. |
| **კუზმინი**, ლავრენტი კუზმის ძე. | ერთ-ეტაჟიანი სარდაფიანი სახლი, ადგილი—$127^{1}/_{2}$ ოთხ კუთ. საჟენი. | თფილისში, II განყოფ. მე-11 უჩასტკაში, ავჭალის ქუჩ. |

| | | |
|---|---|---|
| **სლინკო**, ქვრივი ეკატერინე ივანეს ასული. | სამ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი ფლიგელით და შენობებით, ადგილი 313½ ოთხ-კუთხ. საჟენი. | თფილისში; I განყოფ. 1 მიხაილოვის უჩასტკაში. |
| **ალექსეევ-მესხიევი** მიხაილ დიმიტრის ძე | სამი ნაჭერი მიწა, ზომით 178 დესიატინა და 840 ოთხ-კუთხ. საჟენი. | თფილისის გუბერნიის და უეზდის სოფ. ახალ-დაბას. |
| **ერისთავი**, პოლკოვნიკი გიორგი გიორგის ძე. | სახნავი და საბალახე ადგილი, 243 დესიატინა და 1263 ოთხ-კუთხ. საჟ. | თფ. გუბ. თელავის უეზდში, ქიეთაურში. |
| **ავალიშვილი**, ივანე ზაალის ძე. | სახნავი და საეზო ადგილები 858 დესიატინა და 380 ოთხ-კუთხ. საჟენი. | თფილისის გუბ. გორის უეზდში სოფ. ბრეთს. |
| **ბარათაშვილი**, ნიკოლოზ გიორგის ძე. | სახნავი, საბალახე და სათიბი ადგილები, 2867 დესიატინა და 562 ოთხ-კუთხ. საჟენი. | თფილისის უეზდში სოფ. დიდ-წერაქვს. |
| **მაღალაშვილისა** მარიამ დიმიტრის ასული. | სახნავი, საბალახე და სათიბი ადგილები, 2867 დესიატინა და 562 ოთხ-კუთხ. საჟენი. | თფილისის უეზდში, სოფ. სადახლო, ჩოჩქანი, ქვემო-ცეფი, თახლი, ქიმწა, არაბა, ტალა, ფალარ-თიკიან, გომოს-ტალა, ხუჯაბა, ლიახვარის საბალახეები, ხუდიბელა, და არადატალისა და გუინდატალის ტყეები |
| **შატბეროვისა**, ლიუდმილა-ათანასეს ასული. | ერთ-ეტაჟიანი სახლი, ბაღი და ადგილი 81½ დესატინა და 1000 ოთხ-კუთხ. საჟენი. | თფ. გუბ. გორის უეზდის სოფ. ხაშურში. |
| **საგინოვი**, მიხაილ პაატას ძე. **ჩოლაყაშვილი**, ილია ზაალის ძე. | სახნავი ადგილები და ტყეები 2704 დესიატინა და 420 ოთხ-კუთხ. საჟენი. | თფ. გუბ. თელავის უეზდის სოფ. ახალ-დაბას, ზემო-ხოდაშენში და ახშაანში. |
| | სახნავი და საბალახე ადგილები, 3042 დესიატინა. | თფ. გუბ. სიღნაღის უეზდში. ჭიაურში. |
| **დადაშვილისა**, თამარ ალექსანდრის ასული | სახნავი ადგილები და ტყეები, 1020 დესიატინა და 1920 ოთხ-კუთხ. საჟენი. | თფ. გუბ. თელავის უეზდში, სოფ. ზემო-ხოდაშენში. |
| **ერისთავები**, თ. რაფიელ და იოსებ დავითის ძენი. | სახნავი, საბალახე და სათიბი ადგილები და ტყეები 900 დეს. | თფ. გუბ. თიანეთის უეზდში, სოფ. ბოჩორმაში. |
| **ერისთავი** თ. გიორგი გიორგის ძე | სახნავი, საბალახე და სათიბი ადგილები და ტყეები 800 დ. | თფ. გუბ. თიონეთის უეზდში, სოფ. ბოჭორმაში. |
| **გედევანოვი**, სოლომონ დავითის ძე. | სახნავი, საბალახე და სათიბი ადგილები. 111 დესიატინა და 1560 ოთხ-კუთხ. ს. | თფ. გუბ. თფ. უეზდში, მუხათ-გვერდში. |
| **ორბელიანი** თ. ვახტანგ ვახტანგისძე | სახნავი და საბალახე ადგილები და ტყეები, 1977 დესიატინა და 1280 ოთხ-კუთ. საჟ. | თფილისის უეზდში, სოფ. ძველ-დუშანისს, ჩინჩხურაში, ციხის-საყდარში, საფარლოში და ვარტევანის სოფელში. |

ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩაზე, ხვესინოვის სახლებში, ჩვენ კორონოვის მაღაზიაში ისყიდება ნამდვილი, თეთრი

## წმინდა (თაფლის) სანთელი

ფასი ჩვეულებრივზე ბევრად უფრო იაფია.

ამ გვარივე ნამდვილი წმინდა სანთელი ისყიდება აგრეთვე **თფილისშიაც**, სიონის ულიცაზედ, ონანოვის ქარვასლაში.

(10—10)

---

### თფილისის ქალაქის თავისაგან

**თფილისის ქალაქის თავი** საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ მდგომარე ღვინობისთვის 9-ს თფილისში მოვა უ მ ა ღ ლ ე ს ა დ დამტკიცებული სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინის გზის პოდკომისია დასახედავად ფოთი-თფილისის რკინის გზისა და მისაღებად იმ საჩივრებისა (ნაწერის და სიტყვიერის), რომელიც კი ექნებათ როგორც პასაჟირებს, ამ გზაზე მოგზაურობს, აგრეთვე საქონლის გამგზავნ-გამომგზავნით. ამის გამო ქალაქის თავი ვალად რაცხს შეატყობინოს ყველა უწყებათა და კერძო პირთ, რომელთაც ამგვარი დაწერილი ანუ პირადი საჩივრების განცხადება პირ-და-პირ პოდკომისიისათვის, რომელიმე მიზეზის გამო, არ ეხერხებათ, რომ ეს საჩივრები გამოაცხადონ ქალაქის გამგეობაში (უპრავაში), რომელიც იმათ თავის დროზე თვითონ გარდასცემს ხსენებულ პოდკომისიას.

(3—3)

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | მ | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 85 | - | 44 |
| გორი. . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 3 | „ | 1 | 53 |
| ხაშური . . . | 1 | 29 | 11 | 57 | 4 | 73 | 2 | 42 |
| სურამი . . . | 1 | 44 | | | 4 | 90 | 2 | 61 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 7 | 21 | 3 | 69 |
| რიონი. . . . | 6 | 57 | | | 8 | 44 | 4 | 31 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 9 | 66 | 4 | 93 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 10 | 71 | 5 | 47 |
| ფოთი. . . . | 9 | 50 | | | 12 | 24 | 6 | 26 |
| ფოთი . . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი. | 10 | 14 | | | 1 | 53 | - | 78 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 61 | 1 | 33 |
| რიონი . . . | 12 | 13 | | | 3 | 84 | 1 | 97 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 5 | 3 | 2 | 56 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 7 | 34 | 3 | 74 |
| ხაშური . . . | 5 | 39 | 1 | 37 | 7 | 51 | 3 | 84 |
| გორი . . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 24 | 4 | 73 |
| მცხეთა . . . | 8 | 50 | 6 | 59 | 11 | 39 | 5 | 82 |
| თფილისი. . | 9 | 31 | 7 | 56 | 12 | 24 | 6 | 26 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ. | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში . . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს, | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავს . . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . . . . | 3 | 75 |

**ფოჩტა**

ა) თფილისიდამ: საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. ახალციხე—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. ოზურგეთს—ოთშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ლია წიგნის . . . . . | 3 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 7 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი 9 ოქტომბ. | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა ფუთ. | 2 | 55 |
| ფქვ. წითელი . . | 2 | 20 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 40 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი. | 8 | 65 |
| —ამერიკისა, ფუთი . | 9 | 30 |
| ბაშენტილი ბამბა ფუთი. | 11 | 70 |
| მატყლი თუშური ფუთი. | 8 | 20 |
| —თარაქამისა ფუთი . | 3 | 70 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | 10 |
| ქონი ფუთი . . . | 5 | 80 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 7 | 60 |
| სტეარინის სანთელი ფ. | 11 | 65 |
| ხორცი ძროხისა ლიტრა | — | — |
| —ცხვრისა, ლიტრა . . | — | — |
| სპირტი ვედრო . . . | 4 | 50 |
| შაქარი გროც. ფუთ . | 7 | 25 |
| —ფხვნილი ფუთი . | 5 | 70 |
| ყავა რგვალი გრვ. . | — | 65 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი. | 14 | — |
| თამბაქო საშუალო ფთ. | 6 | 70 |

**თფილისის სამკურნალო.**

ერევნ. მოედ., წინამძღვაროვ. სახლი.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10-დინ.

**ო რ შ ა ბ ა თ ს:** ლისიცევი და ვარალევიჩი—შინაგ. ავათმყოფობის.

**ს ა მ შ ა ბ ა თ ს:** ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფ.; რეიხი—თვალის, ქურავლევი—ვენერიულის, და კანისა; გაბოვი—გულისა და შინაგ.

**ო თ ხ შ ა ბ ა თ ს:** ლისიცევი—შინაგ; ასტვა-ცატუროვი—ქალისა და ბავშვების ავათმყ.

**ხ უ თ შ ა ბ ა თ ს:** ვერმიშევი—შინაგ. ავათმყ. და ქურავლევი—კანის და ვენერიულის.

**პ ა რ ა ს კ ე ვ ს იქნებიან:** ლისიცევი, შინაგ.; ასტვა-ცატუროვი—ვენერ. და კანის; გაბოევი—გულისა და შინაგ. ავათმყოფ.

**შ ა ბ ა თ ს:** ვერმიშევი, შინაგ.; ქურავლევი.—ვენერ. და კანის რეიხი—თვალის.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 Октября 1879 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.